მესტიის მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური პრობლემები და მოსახლეობა

<u>მარიამ ელიზბარაშვილი</u>, თამარ ხარძიანი, კახაბერ ბილაშვილი, თენგიზ გორდეზიანი, თეა მუკბანიანი, თამარ ხუნწელია, მარიამ სიჭინავა, მარიამ გაგოშაშვილი, მარიკა ბასილაძე, ნათია ქვრივიშვილი

ელ-ფოსტა: mariam.elizbarashvili@tsu.ge

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი

მთიანი რეგიონების მდგრადი განვითარება გლობალური პრიორიტეტია. როგორც მთიანი ქვეყანა საქართველო მიისწრაფის მთიანი რეგიონების მდგარდი განვითარებისაკენ, რაც შესაბამის კანონებშიც აისახება.

მდგრადი განვითარება თანაბრად გულისხმობს როგორც გარემოს, ისე ადგილობრივი საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული გარემოს გაუმჯობესებას. ამგვარად მდგრადი განვითარების უმნიშვნელოვანესი ასპექტია მოსახლეობის მოთხოვნილების გააზრება და მათი უშუალო გათვალისწინება განვთარების გეგმის შედგენისას. ამგვარი გამოწვევების მიმართ განსაკუთრებით მოუმზადებელნი არიან განვითარებადი ქვეყნები, რისი ერთ ერთი ძირითადი მიზეზი ხშირ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიმღებ პირთა და მოსახლეობას შორის ინფორმაციის გაცვლის, ახლო კონტაქტის არ არსებობაა. აქედან გამომდინარე მეტად მნიშვენლოვანი და აქტუალურია მთიანი რეგიონების მოსახლეობის დამოკიდებულების შესწავლა ეკოლოგიური პრობლემების მიმართ, მათი მოსაზრებების წრამოჩენა/განალიზება მათი განვითარების ტენდეციებში გატარების ხელშეწყობისათვის.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო საქართველოს ერთ-ერთი გამორჩეული და საინტერესო მთიანი რეგიონის - მესტიის მუნიციპალიტეტის, ზემო სვანეთის მოსახლეობის მოსაზრების გამოკვლევა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემის მიმართ რეგიონის განვითარების კონტექსტში.

ანკეტური გამოკითხვის შედეგების სტატისტიკური ანალიზის შედეგად დადგნდა მოსახლეობის აზრით ყველაზე მნიშვნელოვანი ეკოლოგიური პრობლემები, როგორც მთლიანად მუნიციპალიტეტში ასევე თვითეულ თემში.

მიღებული შედეგები უმნიშვნელოვანესია როგორც რეგიონის მდგრადი განვითარების სტრატეგიის შემუშვებისთვის და პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვისთვის ასევე მსოფლიოსათვის როგორც ერთ ერთი მაგალითი მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობისა და გარემოს ურთიერთდამოკიდებულების.

ლიტერატურა

1. Strategic Options towards Sustainable Development in Mountainous Regions, A Case Study on Zemo Svaneti, Georgia, (2006) Centre of Advanced Training in Rural Development.
2. Sabine Landau, Brian S. Everitt, (2004) A Handbook of Statistical Analyses using SPSS http://www.academia.dk/BiologiskAntropologi/Epidemiologi/PDF/SPSS_Statistical_Analyses_using_SPSS.pdf
3. The Environment: Public Attitudes and Individual Behavior —A Twenty-Year Evolution. (2011) http://www.scjohnson.com/Libraries/Download_Documents/SCJ_and_GfK_Roper_Green_Gauge.sflb.ashx